პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 ივნისი ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 140 (14440)

გუშინ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა

თათბირის მონაწილეთა აზრით ეს არის დიდი მოვლენა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასების მოქმედების ანტიიმპერიალისტური ერთიანობის მიღწევის საქმეში, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცების გზაზე.

კომუნიკე

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შესახებ

1969 წლის 5-17 ივნისს მოსკოვში გაიმართა 75 კომუნისტური და მუშათა პარტიის საერთაშორისო თათბირი. თათბირის მონაწილეთა აზრით ეს არის დიდი მოვლენა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაშლაში, მთელი მსოფლიოს ხალხთა უფართოესი მასების მოქმედების ანტიიმპერიალისტური ერთიანობის მიღწევის საქმეში, დიდმნიშვნელოვანი ეტაპი მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების საფუძველზე კომუნისტური მოძრაობის შეკავშირების განმტკიცების გზაზე.

თათბირში მონაწილეობდნენ შემდეგი კომუნისტური და მუშათა პარტიები: ავსტრალიის კომუნისტური პარტია, ავსტრიის კომუნისტური პარტია, ალჟირის სოციალისტური ავანგარდის პარტია, არგენტინის კომუნისტური პარტია, ბელგიის კომუნისტური პარტია, დასავლეთ ბერლინის ერთიანი სოციალისტური პარტია, ბულგარეთის კომუნისტური პარტია, ბოლივიის კომუნისტური პარტია, ბრაზილიის კომუნისტური პარტია, დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია, ვენესუელის კომუნისტური პარტია, ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტია, გაიანის სახალხო პროგრესული პარტია, გვადელუპის კომუნისტური პარტია, გვატემალის შრომის პარტია, გერმანიის კომუნისტური პარტია, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, ჰონდურასის კომუნისტური პარტია, საბერძნეთის კომუნისტური პარტია, დანიის კომუნისტური პარტია, დომინგოს კომუნისტური პარტია, ისრაელის კომუნისტური პარტია, ინდოეთის კომუნისტური პარტია, ირლანდიის კომუნისტური პარტია. ერაყის კომუნისტური პარტია, ირანის სახალხო პარტია, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტია, ირლანდიის მუშათა პარტია, ესპანეთის კომუნისტური პარტია, იტალიის კომუნისტური პარტია, კანადის კომუნისტური პარტია, კვიპროსის მშრომელი ხალხის პროგრესული პარტია, კოლუმბიის კომუნისტური პარტია, კოსტა-რიკის სახალხო ავანგარდის პარტია, ლესოთოს კომუნისტური პარტია, ლიბანის კომუნისტური პარტია, ლუქსემბურგის კომუნისტური პარტია, განთავისუფლებისა და სოციალიზმის პარტია (მაროკო), მარტინიკის კომუნისტური პარტია, მექსიკის კომუნისტური პარტია, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტია, ნიგერიელ მარქსისტ-ლენინელთა, ნიკარაგუას სოციალისტური პარტია, ნორვეგიის კომუნისტური პარტია, ახლოსავლეთ პაკისტანის კომუნისტური პარტია, პანამის სახალხო პარტია, პარაგვაის კომუნისტური პარტია, პერუს კომუნისტური პარტია, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, პორტუგალიის კომუნისტური პარტია, პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტია, რეუნიონის კომუნისტური პარტია, რუმინეთის კომუნისტური პარტია, სალვადორის კომუნისტური პარტია, სან-მარინოს კომუნისტური პარტია, სირიის კომუნისტური პარტია, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტია, სუდანის კომუნისტური პარტია, ტუნისის კომუნისტური პარტია, თურქეთის კომუნისტური პარტია, ურუგვაის კომუნისტური პარტია, ფინეთის კომუნისტური პარტია, საფრანგეთის კომუნისტური პარტია, ცეილონის კომუნისტური პარტია, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტია, ჩილეს კომუნისტური პარტია, შვეიცარიის შრომის პარტია, ეკვადორის კომუნისტური პარტია, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტია და იმ ორი ალტერნატივის მომუშავე პარტიის დელეგაციები, რომელთა სახელწოდებას არ ვახსენებთ უშიშროების მოსაზრებებით. მეთვალყურეებად თათბირზე იყვნენ და თავიანთი პოზიციები ჩამოაყალიბეს კუბის კომუნისტური პარტიისა და შვეიცარიის მემარცხენე პარტიის — კომუნისტების დელეგაციებმა.

თათბირმა მიიღო ძირითადი დოკუმენტი: „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანები თანამედროვე ეტაპზე და კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მოქმედების ერთიანობა". ავსტრალიის, იტალიის, სან-მარინოს, რეიუნიონის კომუნისტური პარტიების დელეგაციებმა, აგრეთვე დაუჭირეს მხარი კომუნისტური და მუშათა პარტიების, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობის განმტკიცებას, და მთლიანად დაეთანხმნენ დოკუმენტის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელშიც ჩამოყალიბებულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ერთობლივი პროგრამა, ხოლო დომინგოს კომუნისტური პარტიის დელეგატმა მხარი არ დაუჭირა ძირითად დოკუმენტს.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დღესასწაულის საკითხი და მზურვალედ, ენთუზიაზმით მოიწონეს მიმართვა „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახებ".

თათბირმა მიმართა მსოფლიოს ხალხებს მოწოდებით „დამოუკიდებლობა, თავისუფლება და მშვიდობა ვიეტნამს!". იგი მხურვალედ მიესალმა სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის შექმნას. თათბირმა მიიღო „მოწოდება მშვიდობის დასაცავად", განცხადება ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბ ხალხთა სამართლიანი ბრძოლის მხარდასაჭერად, აგრეთვე განცხადება იმ კომუნისტებთან და დემოკრატებთან სოლიდარობის შესახებ, რომლებიც განიცდიან უსახეკეს რეპრესიებს და ძმიმე პირობებში თავდადებით იბრძვიან რეაქციული დიქტატორული რეჟიმების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერს საერთაშორისო იმპერიალიზმი.

თათბირი მიმდინარეობდა გულახდილობის, ძმური სოლიდარობის ატმოსფეროში და ჰქონდა ფართო საჯაროობა. ყველა პარტიის თანასწორუფლებიანობის პრინციპი და მუშაობის კოლექტიური მეთოდები ზუსტად იყო დაცული როგორც თათბირის მომზადების, ისე მისი მსვლელობის პერიოდში.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მზად არიან კიდევ უფრო განავითარონ კომუნისტური და მუშათა პარტიების ურთიერთობა. მათ დაადასტურეს, რომ მიზანშეწონილია ორმხრივი და რეგიონალური შეხვედრები, საჭიროების კვალობაზე კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირების მოწყობა აზრებისა და გამოცდილების ურთიერთგასაზიარებლად, აქტუალური პოლიტიკური და თეორიული საკითხების, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის საქმის გამარჯვებისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის პრობლემათა კოლექტიურად განხილვისა და შემუშავებისათვის.

გადაწყდა თათბირის მასალები გაეგზავნოს იმ კომუნისტურ და მუშათა პარტიებსაც, რომლებიც მის მუშაობაში არ მონაწილეობდნენ.

თათბირის მონაწილენი მტკიცედ არიან დარწმუნებული, რომ მისი შედეგები შეესაბამება თვითეული კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ინტერესებს.

მოსკოვი. 1969 წლის 17 ივნისი. კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი. სურათზე: თათბირის ძირითად დოკუმენტზე ხელს აწერს სკკპ დელეგაციის მეთაური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

საკდესი (მიღებულია საქდესის ფოტოტელეგრაფით).

საერთაშორისო თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 17 ივნისს კრემლის ყრილობათა სასახლეში დარბაზობა გამართა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მონაწილეთა პატივსაცემად.

შეკრებილთ მისასალმებელი სიტყვით მიმართა სკკპ დელეგაციის მეთაურმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა.

(საკდესი).

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა დარბაზობაზე კრემლში

ძვირფასო ამხანაგებო!

ჩვენო ძვირფასო საზღვარგარეთელო მეგობრებო და ძმებო!

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირმა წარმატებით დაამთავრა მუშაობა.

ახლა, როცა დავამთავრეთ ჩვენი დიდი და ნაყოფიერი შრომა და სამუშაო მაგიდა, შემოქმედებითი დისკუსიის მაგიდა ამ საზეიმო სუფრით შევცვალეთ, ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, ჩვენი ქვეყნის ყველა კომუნისტის სახელით გულითადად მოგესალმოთ აქ, დარბაზობაზე, მომავე პარტიათა წარმომადგენლებს როგორც ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ძვირფას სტუმრებს. **(ტაში).**

ჩვენთვის, საბჭოთა კომუნისტებისათვის, დიდი პატივია, რომ მსოფლიოს კომუნისტური პარტიების ესოდენ წარმომადგენლობითი შეხვედრა გაიმართა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — მოსკოვში.

დარწმუნებული ვართ, რომ ეს თათბირი მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიაში შევა როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ჩვენს ერთობლივ ბრძოლაში, ყველა კომუნისტის ღონისძიებათა გაერთიანებასა და შეკავშირებაში ჩვენი საერთო დიადი მიზნების მისაღწევად.

ასეთი შეფასებისათვის საკმაოდ დამაჯერებელი საფუძველი გვაქვს.

როგორც უკვე არაერთგზის აღინიშნა, ჩვენი თათბირის თვით მომზადება განსაკუთრებით საფუძვლიანი და დემოკრატიული იყო, მიმდინარეობდა კონსტრუქციული ამხანაგური სულისკვეთებით. ამრიგად, მან ბევრი პარტიის კომუნისტთა ნაყოფიერი კოლექტიური მეცადინეობის კარგი მაგალითი მოგვცა.

თათბირზე გამართულმა ღრმა და პრინციპულმა, საქმიანმა, თავისუფალმა და გულახდილმა დისკუსიამ ყველა ჩვენგანს საშუალება მოგვცა ერთმანეთისათვის შეგვედარებინა ცალკეულ პარტიათა შეხედულებანი და შეფასებანი, დაწვრილებით, სრულიად შეუზღუდავად განგვეხილა ჩვენი მოძრაობის აქტუალური პრობლემები. შეიძლება გარკვევით ითქვას, რომ ამის შედეგად ახალი მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანეთ ჩვენი რევოლუციური თეორიის განვითარებაში. ბევრი მოძმე პარტიის ხელმძღვანელთა გამოსვლებში აისახა მსოფლიოს სხვადასხვა რაიონში ვითარების ფაქიზებურებათა და ბრძოლის სპეციფიკური პირობების მიმართ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების კონკრეტული გამოყენების გამოცდილება. საერთოდ ჩვენი თათბირის დღის წესრიგის ძირითადი საკითხის განხილვა უეჭველად გაამდიდრებს მთელ კომუნისტურ მოძრაობასა და თათბირის მონაწილე თვითეულ პარტიას, ხელს შეგვიწყობს მოძმე პარტიათა საყურადღებო გამოცდილების გამოყენებაში.

თათბირზე მიღებული დოკუმენტები ჩვენ ყველას ახალ იარაღს გვაძლევს ჩვენს საერთო ბრძოლაში. ისინი დაეხმარებიან ყველა ქვეყნის კომუნისტებსა და მშრომელებს უფრო ნათლად დაინახონ იმპერიალისტური აგრესიისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შემდგომი ბრძოლის გზები. ეს დოკუმენტები ჩვენი ერთობლივი ძმური მოწოდებაა დედამიწის მთელი პატიოსანი, პროგრესული ძალებისადმი, რომლებიც ხალხთა თავისუფლების, მშვიდობისა და ბედნიერების საქმისათვის იბრძვიან.

რა თქმა უნდა, მიღებული დოკუმენტები მხოლოდ საფუძველია შემდგომი დიდი მუშაობისათვის, რომელიც მოელის აქ წარმოდგენილ თვითეულ პარტიას. მაგრამ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ ეს კარგი და საიმედო საფუძველია. **(ტაში).** იგი ასახავს დიდმნიშვნელოვან ეტაპს იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის ძალების წინააღმდეგ კომუნისტთა ძმური ერთიანობის განმტკიცებაში. იგი გვინერგავს ოპტიმიზმის გრძნობას, ჩვენი საქმის ახალი გამარჯვებების, ჩვენი მოძრაობის შეკავშირების შემდგომი გაძლიერების რწმენას.

წინ ძნელი ბრძოლები გველის ძლიერ, გამოცდილ და გაქნილ კლასობრივ მოწინააღმდეგესთან. ეს ჩვენ ყველას მოქმედების ერთიანობისათვის მოგვიწოდებს მაშინაც, როცა გვაქვს რამდენადმე განსხვავებული შეხედულებანი ცალკეულ საკითხებზე. ბრძოლის გამოცდილების ყოველმხრივი ურთიერთგაზიარება ჩვენს თათბირზე, შეთანხმებული პოზიციის შემუშავება კომუნისტური მოძრაობის უმნიშვნელოვანეს აქტუალურ საკითხებზე იმის საუკეთესო გარანტიაა, რომ ჩვენი რიგების შეკავშირებით, შეთანხმებული და კოორდინირებული მოქმედებით მოვიგებთ ამ ბრძოლებს.

თათბირის მუშაობის დღეებში მოძმე პარტიათა დელეგაციებმა არაერთგზის აღნიშნეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წვლილი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ჩვენი სამართლიანი საქმის გაძარჯვებისათვის საერთო ბრძოლაში. მაღალი შეფასება, რომელიც ჩვენს პოლიტიკას მისცეს ჩვენმა თანამებრძოლმა ამხანაგებმა, აგრეთვე ჩვენი პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლისა და ბელადის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი დოკუმენტის მიღება თათბირზე აღგვაფრთოვანებს ჩვენ, საბჭოთა კომუნისტებს, და მთელ ჩვენს საბჭოთა ხალხს.

ნება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, აღგითქვათ, რომ მარქს-ლენინის მოძღვრების, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ურყევად ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არ დაიშურებს ძალღონეს, რომ ხელი შეუწყოს იმ ახალი პერსპექტივების განხორციელებას, რომლებსაც ჩვენს მოძრაობას, მსოფლიოს მთელ ანტიიმპერიალისტურ ძალებს უსახავენ ჩვენი თათბირის შედეგები.

ძვირფასო მეგობრებო!

მუშაობაში, დისკუსიებში დრო შეუმჩნევლად გავიდა. თითქოს მხოლოდ გუშინ მოგილოცეთ გულითადად მოსკოვში ჩამოსვლა. როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, ცოტა ძნელი იქნება თქვენთან განშორება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით ნება მიბოძეთ გთხოვოთ, რომ თქვენს პარტიებს, თქვენი ქვეყნების მუშებს, გლეხებს, ინტელიგენციას გადასცეთ საბჭოთა კომუნისტების, მთელი 240-მილიონიანი საბჭოთა ხალხის უმხურვალესი სალამი. **(ტაში).**

ჯანმრთელობას გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო და მებრძოლო მეგობრებო!

წარმატება ვუსურვოთ ჩვენს წმიდათაწმიდა ბრძოლას ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და სიღატაკის წინააღმდეგ, ხალხთა განთავისუფლებისათვის, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის!

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის კომუნისტთა ერთიანობას!

გაუმარჯოს კომუნიზმს! **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის პრეს-კონფერენცია

16 ივნისს კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის პრეს-ცენტრში გაიმართა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის პრეს-კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. შტროუგალი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. შ. სადოვსკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბილიაკი, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი ამხ. პ. აუერსპერგი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი და საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა აწყობენ

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ

ლენინურ კითხვას 100

ლექციას თემაზე „ვ. ი. ლენინი სახელმწიფოებრივი აპარატის სრულყოფის ამოცანების შესახებ და მათი შემოქმედებითი განხორციელება სსრ კავშირში"

წაიკითხავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ბ. დ. ჯავახიშვილი.

ლექცია შედგება 1969 წლის 19 ივნისს დღის 4 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპექტი № 8).

საქართველოს კომუნისტური პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის" თბილისის საქალაქო ორგანიზაციის გამგეობა

გაუმარჯოს ყველა ქვეყნის კომუნისტთა ერთიანობას!

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი

17 ივნისს მუშაობას განაგრძობდა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირი.

დილის სხდომას თავმჯდომარეობდა ერთ-ერთი ამ მოძმე პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელი, ბრძოლელი არალეგალურ პირობებში მუშაობს.

თავმჯდომარემ ილაპარაკა დიუვალიეს ტირანული რეჟიმის ახალ სისხლიან დანშაულზე, იმაზე, რომ დაიღუპნენ ჰაიტელ კომუნისტთა გაერთიანებული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები. შემოაქვთ წინადადება, რომ მიიღონ ჰაიტის კომუნისტებთან და დემოკრატებთან სოლიდარობის განცხადება. თათბირის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს ეს განცხადება.

შემდეგ სხდომის თავმჯდომარე აცხადებს სამდიგნოს წინადადებას, რომ გამოაქვეყნონ თათბირის ყველა გადაწყვეტილება და მონაწილეთა სიტყვები. საერთაშორისო გამომცემლობა „მშვიდობა და სოციალიზმმ“ გამოიჩინა ინიციატივა გამოსცეს მასალები სხვადასხვა ენაზე. თათბირის მონაწილეები ეთანხმებიან ამ წინადადებას.

დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო სხდომაზე გამოვიდნენ: სან-მარინოს კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი ამხ. ე. გასპერონი, ლესოტოს კომუნისტური პარტიის დელეგაციის მეთაური, გვატემალის შრომის პარტიის დელეგაციის მეთაური ამხ. ა. მარტინესი, ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის აღმასკომის წევრი ამხ. ჯ. შერფი, ბოლივიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ხ. კო�ტე, პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ფ. ოხედა, პანამის სახალხო პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ამხ. ლ. ტომასი, სამხრეთ აფრიკის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე ამხ. ჯ. ბ. მარქსი.

სხდომის თავმჯდომარე აცხადებს, რომ დღის წესრიგის პირველი პუნქტის გამო კამათში გამოსვლის მსურველთა სია ამოიწურა. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება დაამთავროს გამოსვლები ამ საკითხის გამო.

□

სან-მარინოს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხ. ე. გასპერონმ გააანალიზა ძირითადი პრობლემები, რომლებსაც მთავარ ჯარადღებას უთმობს პარტია.

ორატორმა ხაზი გაუსვა, თუ რაოდენ რთული და საშიშია თანამედროვე საერთაშორისო ვითარება და აღნიშნა, რომ საჭიროა განმტკიცდეს კომუნისტური მოძრაობისა და ანტიიმპერიალისტური ძალების ერთიანობა მიუხედავად კომუნისტური მოძრაობის შიგნით არსებული უთანხმოებისა და მზარდი მშვიდობისმოყვარე და პროგრესული ძალების იდეოლოგია განსხვავებისა.

მან ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტის სერიოზულ მნიშვნელობას, რომ უთანხმოებანი კი არ მცირდება, არამედ ღრმავდება იმის გამო, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფი განზრახ განაგრძობს გამთიშველ საქმიანობას კომუნისტური პარტიების წინააღმდეგ, აღვიძებს ხალხთა მშვიდობისათვის, თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმისათვის დამლუპველ ანტიისტორიულ კამპანიას. ჩვენმა პარტიამ, თქვა ამხ. ე. გასპერონმ, კატეგორიულად დაგმო და უარყო ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი ჯგუფის პოზიცია, რომელიც ზიანს აყენებს მთელ კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას, მთელ საერთაშორისო დემოკრატიულ და ანტიიმპერიალისტურ ფრონტს.

თავისთვად ცხადია, განაგრძო მან, რომ სსრ კავშირი მთელი კომუნისტური და ანტიიმპერიალისტური მოძრაობის მთავარი ძალაა. საბჭოთა კავშირს ეკუთვნის უმნიშვნელოვანესი როლი საერთაშორისო ურთიერთობაში, რაც აიხსნება მისი დიდი ავტორიტეტითა და გავლენით, მისი სამშვიდობო პოლიტიკით, მისი უზარმაზარი სამხედრო ძლიერებითა და უდიდესი ეკონომიური პოტენციალით. სსრ კავშირი დიდ დახმარებას უწევდა და აუწევს მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს. საბჭოთა კავშირის დახმარების წყალობით კუბას შეუძლია განაგრძოს სოციალიზმის მშენებლობა, ხოლო არაბმა ხალხებმა ებრძოლონ ისრაელი დამპყრობლებისაგან თავიანთი მიწების განთავისუფლებისათვის.

თავისი პარტიის სახელით მან დაგმო ანტისაბჭოურობა და განაცხადა, რომ სრულ სოლიდარობას უცხადებს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, და საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლთა თავდადება ინტერნაციონალური სულისკვეთების ნიმუშია, და გამოთქვა რწმენა, რომ თათბირის მუშაობა წარმატებით დამთავრდება.

კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე ლესოტოს კომუნისტური პარტიის დელეგაციის შერეულთა მოგაზნა, რომ მისი ქვეყნის ისტორია, — ეს არის მისი ხალხის შეუწყვეტელი მამაცური ბრძოლის ისტორია დამოუკიდებლობისათვის, რომ კოლონიური ჩაგვრის ლიკვიდაციის შემდეგ ბრიტანეთის იმპერიალისტმა, სამწუხაროდ, შეაღო ხელისუფლება ლესოტოში გადაეცა მთავრობისათვის, რომელიც ხალხის უმეტესობის წარმომადგენელია. მმართველი ერთვნული პარტია კათოლიკური პარტიაა და მას მთლიანად კონტროლს უწევს საკანონმდებლო იერარქია — ყველაზე დიდი და ყველაზე მძლავრი ძალა ლესოტოში.

ყოველივე ამის შედეგად, დამოუკიდებლობის მოპოვებამ ვერ გაამართა ჩვენი ხალხის იმედები და მისწრაფებანი. მთავრობამ ჭმიერო და დამამცირებელი ურთიერთობა დაამყარა სამხრეთ აფრიკის რასისტულ და ფაშისტურ რეჟიმთან. ლესოტოში კიდევ უფრო მოიკიდა ფეხი სამხრეთ აფრიკის იმპერიალისტმა მოძალეობამ.

თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ჩვენს ქვეყანაში არსებულ პირობებს, შეგვიძლია სავსებით გარკვეულად ვთქვათ, რომ ლესოტო არ გახდება თავისუფალი და დამოუკიდებელი ქვეყანა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, სანამ სამხრეთ აფრიკაში არ დაემხობა რასისტული რეჟიმი. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, თითქოს ჩვენს ქვეყანაში არ იყოს პროგრესის არავითარი წინამძღვრები.

ჩვენ, ჩვენი მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შესაბამისად დიდ იმედებს ვამყარებთ ინტერნაციონალიზმზე ჩვენს საქმიანობაში და დიდად ვაფასებთ მას. ჩვენი აზრით, „დამოუკიდებლობისა“ და „ეროვნულ თავისებურებათა“, ზედმეტი ხაზგასმა უკვე სერიოზული საფრთხე ხდება საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობაში. ორატორმა ხაზი გაუსვა, რომ შუათა კლასისა და ბურჟუაზიის საერთაშორისო კლასობრივი პოლიტიკური ომის ჯუნგლებში დიდ პარტიებს შეუძლიათ თავი გიიტანონ და განვითარდნენ. რაკი შეეხება პატარა პარტიების გაჭლენას, ავტორიტეტსა და წინსვლას, ამის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, რომ ხშირად მოვიწვიოთ საერთაშორისო ფორუმებს, უფრო მაღალი იქნება ჩვენი საქმიანობის დონე საერთაშორისო თვალსაზრისით და უფრო დიდი საერთაშორისო პროლეტარული პასუხისმგებლობა და დისციპლინა.

ჩინეთის „დამოუკიდებელმა“ აქციებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს ბევრი პატარა პარტიის დამოუკიდებლობასა და თავისუფლებაზე მსოფლიოს ამ ნაწილში. დაკარგული პოზიციების დაბრუნებას ისინი შეძლებენ მხოლოდ და მხოლოდ საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ფარგლებში. ჩვენ არა გვაქვს პატარა პარტიის არასტოფფასოვნების რიმი კომპლექსი; არც ერთი პარტია არასოდეს არ ჩარეულა ჩვენს საშინაო საქმეებში ჩინეთის პარტიის გარდა, რომელიც გაკოფილებული სპილოსავით დაძრწის საერთაშორისო ასპარეზზე.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა სახელმწიფოს, ისტორიამ უკვე გამოიტანა თავისი გადაწყვეტილება ამ საკითხზე. ამას ჩვენი იმპერიალისტი მოწინააღმდეგენიც აღიარებენ, რომლებმაც თავიანთი ყველაზე საშინელი იარაღი თითქმის მხოლოდ საბჭოთა კავშირს დაუმიზნეს. თითოეული პარტიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი ინტერნაციონალიზმის ერთგულების კრიტერიუმია. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყოველი გადაწყვეტილება, რაც კი ოდესმე მიუღია საბჭოთა კავშირს, აუკილებლად სწორია. მეორე მხრივ, საშიშია ვიფიქროთ, რომ უნდა აუფერდეთ ჩვენი ანალიზის ყოველ ოპერაციასს. ისტორიული და კლასობრივი მიდგომა ეს არის, რომ კლასობრივი ბრძოლის პირობებში, როცა მოულოდნელად წარმოიშობა განსაკუთრებული სიტუაციები და კრიზისები, მუშათა კლასისა და მთელი პროგრესული ძალების მოვალეობაა შეკავშირება საბჭოთა კავშირის გარშემო.

გვატემალის შრომის პარტიის დელეგაციის მეთაურმა ამხ. ა. მარტინესმა თავის ჯამოსვლაში თქვა, რომ თათბირის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსებაა ფართო დისკუსია და სხვადასხვა თვალსაზრისის დაპირპირება უთანხმოებათა და განსაკუთრებულ შეხედულებათა დაუფარავად. ამან შეიმნა ამხანაგური განხილვისა და მომავალში მათი დაძლევის პირობები.

ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტი; თქვა ორატორმა, დაეთანხმა იმას, რომ მიმდინარე თათბირის დღის წესრიგში უნდა ყოფილიყო იმპერიალიზმის წინააღმდეგ მოქმედების ერთიანობის პლატფორმის შემუშავება, აგრეთვე საერთაშორისო - ასპარეზზე ძალების თანაფარდობის ამომწურავი ანალიზი. იმის შედეგად, რომ თათბირის მომზადების დროს ერიდებოდნენ პარტიათა პოლიტიკის უმეტესი კრიტიკას, აღდგენილია ნდობა და განიზრდა თათბირზე მონაწილე პარტიების რიცხვი. მაგრამ ამან არ უნდა დაკვალიფოს არსებული უთანხმოებანი. პირიქით, უნდა ვაღიაროთ ისინი, რადგან ეს ცხადყოფს, რომ უთანხმოებათა მიუხედავად კომუნისტები ესწრაფვიან ერთიან მოქმედებას იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხ. ა. მარტინესმა აღნიშნა, რომ თათბირის დიდი ღირსებაა ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის მაკიცე მხარდაჭერა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ უმეტეს აკრეხილის სოციალისტური სახელმწიფოს — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ ხელი შეუწყო განსეთქილებამ კომუნისტური მოძრაობის რიგებში, განსეთქილებამ ჩინეთის კომუნისტურ პარტიასა და საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობის უდიდეს ნაწილს შორის. სანამ არსებობს განსეთქილება ეს მოწესრიგებული არ არის ურთიერთობა ყველა სოციალისტურ სახელმწიფოს შორის, თქვა ორატორმა, იმპერიალიზმს მეტი შესაძლებლობა ექნება განსორციელოს აგრესიული აქციები და გააჩაღოს ომები.

ამხ. ა. მარტინესმა თქვა, რომ სრულიად შეუწყნარებელია ცდები ერთ სიბრტყეზე დაყენონ იმპერიალიზმი და საბჭოთა კავშირი, ცდები, რომლებიც ოფიციალურად ვახდა ჩინეთის კომპარტიის პოლიტიკური ხაზის შემადგენელი ნაწილი.

საბჭოთა კავშირი, აღნიშნა ორატორმა, ასრულებს ძირითადი ძალის როლს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამხ. ა. მარტინესმა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, აგრეთვე სხვა მომძე პარტიებს იმ დახმარებისათვის, რომელსაც უწევენ გვატემალის შრომის პარტიას.

შემდეგ ამხ. ა. მარტინესმა დაასახელა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარება ლათინური ამერიკის ქვეყნებში. ასალი ნიმნები და მოძეტები, რომლებიც განსაზღვრავენ ლათინური ამერიკის ქვეყნების თანამედროვე მდგომარეობას, არის კუბის რევოლუცია, რომლის შედეგად სოციალიზმმა გაიმარჯვა ამერიკის ერთ-ერთ ქვეყანაში, ამ რევოლუციის საწინააღმდეგოდ შექმნილი „პროგრესის კავშირის“ კრახი და ლათინური ამერიკის ხალხთა ბრძოლა, რომელმაც მთელი კონტინენტი შეძრა.

ამხ. ა. მარტინესმა ხაზი გაუსვა მუშათა კლასისა და მისი პარტიის როლს რევოლუციური ბრძოლის ხელმძღვანელობაში. მან უარყო ყოველნაირი ცდა, რაიმე საბაბით დაეკნინონ კომუნისტთა პარტიის როლი.

ერთ-ერთი ყველაზე უარყოფითი გარემოება, რომლითაც მტერი ძალიან სარგებლობს, რევოლუციური მოძრაობის გათიშვაა. ამასთან დაკავშირებით ორატორმა აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა როგორც მემარჯვენე, ისე ცრუ მემარცხენე ტენდენციების წინააღმდეგ კომუნისტურ მოძრაობაში.

ორატორმა დაწვრილებით გააშუქა მდგომარეობა გვატემალაში. ტერორის ტალღამ დიდი ზარალი მიაყენა ხალხსა და რევოლუციურ ძალებს. ამ ბრძოლაში დაიღუპა ბევრი გამოჩენილი კომუნისტი. მაგრამ გვატემალის შრომის პარტია თანდათან ძლევს ამ სიძნელეებს. თავისი რიგების რეორგანიზაციისა და განმტკიცების შედეგად მან გადაჭრა საშინაო ბრძოლის პრობლემები, გაუძლო სისხლიან ტერორს.

დასასრულ გვატემალის შრომის პარტიის დელეგაციის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ სავსებით ეთანხმება შვედიის დაცვისათვის მოწოდებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებული მიმართვის პროექტებს.

ჩრდილოეთ ირლანდიის კომუნისტური პარტიის დელეგაციის წარმომადგენელი ამხ. ჯ. მერფი დელეგაციის სახელით გულთბილად და ძმურად მიესალმა თათბირის მონაწილე ყველა კომპარტიას. მან ხაზი გაუსვა, რომ თათბირი დროული და საჭირო იყო.

თუმცა იმპერიალიზმი დაცემულობის პერიოდს განიცდის, განაცხადა ამხ. ჯ. მერფიმ, იგი ჯერაც საშიში და აგრესიულია. მისი საშიშროებისა და აგრესიულობის მაგალითია ომები ვიეტნამსა და ახლო აღმოსავლეთში, აგრეთვე სამხედრო გადატრიალება საბერძნეთში.

ორატორმა დამსწრეთა ყურადღება მიაპყრო იმპერიალისტური ქვეყნების უდიდეს სამხედრო ბიუჯეტებს, აგრეთვე მონოპოლიათა შეღწევას სხვა ქვეყნებში. ჩრდილოეთ ირლანდიაში ეს შეღწევა მოიცავს ფინანსებს, დაზღვევას, უძრავ ქონებასა და მრეწველობას. მაგრამ ამ პროცესის შედეგად ვერ გადაიჩრა ჩრდილოეთ ირლანდიის ხალხის ვერც ერთი პრობლემა, სადაც ათასობით მშრომელს სამუშაო არა აქვს ან იძულებულია ემიგრაციაში წავიდეს.

ორატორმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობა მილიონობით გირვანქა სტერლინგს უსდის ომნოპოლიებს საწარმოთა მშენებლობისათვის, მოწყობილობის და სხვა საჭიროებისათვის დაუბრუნებელი სუბსიდიების სახით. იგი იძულებული იყო შეემცირებინა ქვეყნის ეკონომიური განვითარების ვეგეტაციური კაპიტალიზმის ეკონომიური კრიზისის შედეგად. ამის გამო ეიმცირდა ბინების, საავადმყოფოების, სკოლებისა და სხვა მშენებლობა.

ორატორმა ილაპარაკა გასული წლის ოქტომბრის ამბებზე, როცა პოლიციის სასტიკმა მოქმედებამ მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ, რომელიც მოეწყო მოქალაქეობრივი უფლებების დასაცავად, გამოიწვია მასობრივი მოძრაობა მოქალაქეობრივი უფლებებისათვის, რომელმაც აიძულა მმართველი წრეები მოეწყოთ საყოველთაო არჩევნები და მთელ მსოფლიოს უჩვენა ჩრდილოეთ ირლანდიის მთავრობის ანტადემოკრატიული სასიათი.

ილაპარაკა რა თათბირის განსახილველად წარმოდგენილ ძირითად დოკუმენტზე, ორატორმა განაცხადა, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიის დელეგაცია ამ დოკუმენტს უფრო მოკლედ ჩამოაყალიბებდა, ვინაიდან ძირითადი ბრძოლა როგორც ჩრდილოეთ, ისე სამხრეთ ირლანდიაში მიმართულია იმპერიალიზმის წინააღმდეგ. მიუხედავად ამისა, კომპარტია მზადაა მხარი დაუჭიროს დოკუმენტში გამოთქმულ დასკვნებს და გამოიყენოს ისინი, სადაც ეს შესაძლებელია, თავისი ქვეყნის პირობებში. ჩრდილოეთ ირლანდიის კომპარტიის დელეგაცია სავსებით მხარს უჭერს აგრეთვე თათბირზე წარმოდგენილ ყველა სხვა დოკუმენტს.

დელეგაციაზე, ამბობს ორატორი, დიდი თბილვნდილება მოახდინა სოციალისტური ქვეყნების მიდწევებმა, რომლებიც ჩამოთვლილია სხვადასხვა გამოსვლაში, განსაკუთრებით ამხანაგ ბრეჟნევის გამოსვლაში.

ბოლივიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ხ. კოლმ დაბსწერეთ მოაგონა, რომ მისი პარტია მონაწილეობდა თათბირის მომზადებაში და განაცხადა, რომ მისმა ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დელეგაციას დაავალა მოიწონოს და ხელი მოაწეროს ძირითად დოკუმენტს. ბოლივიის კომუნისტური პარტია არ ეთანხმება იმას, ვინც წინადადებას იძლევა ამ დოკუმენტიდან გამოაკვნინ „ოქმედების ერთობის პლატფორმა“ და გაერთიანდნენ მხოლოდ მის გარშემო. ასეთი მიდგომა, — თქვა დელეგატმა, — ფაქტიურად ნიშნავს უარყოთ ის კავშირი, რომელიც არსებობს თეორიასა და პრაქტიკას შორის, გამოვაცალოთ თავისებური — როგორც უკვე ითქვა, ოდეური და პოლიტიკური ფრაგმატიზმი, რომელიც ჩვენთვის უცხოა. არ შეიძლება დოკუმენტის ასე დამახინჯება.

ორატორმა ილაპარაკა ბოლივიელ კომუნისტთა რევოლუციურ ბრძოლაზე, რომლებსაც რეპრესიების უნესლეს პირობებში უხდებათ მოქმედება. სახალხო ანტიიმპერიალისტური მოძრაობის ადმავლობა რომ ალაგმოს, თქვა მან, ამერიკის იმპერიალისტმა მოაწყო სამხედრო გადატრიალება, ხოლო გადატრიალების შემდეგ მაშინვე გააჩაღა მაღაროელებისა და ქარხნის მუშების, ანუ ბოლივიის მუშათა კლასის ძირითადი ძალების დეგნისა და ხოცვის კამპანია. საგრამ, მიუხედავად ამ სიძნელეებისა, ბოლივიის პროლეტარიატი უაღრესად სერიოზულ ბრძოლას აწარმოებდა, ამასთან ხშირად იარაღით იცავდა თავის მოთხოვნებს, უფლებებსა და მთელი ხალხის თავისუფლებას.

ჩვენთან ბოლივიაში, თქვა შემდეგ დელეგატმა, გაჩაღდა პარტიზანული ბრძოლა ბინო მაიორის ერნესტო ჩე გევარას ხელმძღვანელობით. ჩვენი პარტია ფხიზლად და ობიექტურად აანალიზებს ამ გამოცდილებას როგორც ინტერნაციონალურ ვალდებულებათა შესრულების ერთ-ერთ ფორმას. ეს მოითხოვს მოცემული გამოცდილების კრიტიკულ და თვითკრიტიკულ შესწავლას პრინციპული პოზიციებიდან.

დელეგატმა ხაზი გაუსვა, რომ იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლივიის კომუნისტური პარტია გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს მუშათა კლასისა და სახალხო ფრონტის პროფკავშირულ, პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებს. მუშათა კლასის ჰეგემონია, თქვა მან, მიზი ან ლოზუნგი როდინა. ეს არის საზოგადოებრივ-ისტორიული სინამდვილე.

ბოლივიის კომუნისტები გმობენ მაოს ჯგუფის გამოძეველ შოვინისტურ და ავანტიურისტულ საქმიანობას, რომელიც სამხედრო პროვოკაციებსაც არ ერიდება. ჩვენს პარტიას, თქვა დელეგატმა, საჭიროდ მიაჩნია ამხილოს მაოიზმის ნამდვილი სახე და, ჩვენი აზრით, ასეთივე მოვალეობა აკისრია მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას.

ბოლივიის კომუნისტური პარტიის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვას. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ბრძოლა ანტიკაბჭოურობის წინააღმდეგ პრინციპული საკითხია. შემდეგ მან აღნიშნა, რომ კუბის განმტკიცება, მისი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში ჯულწრფელად ახარებს „ლათინური ამერიკის ყველა ხალხს.

ბოლივიის კომპარტიის დელეგატმა განაცხადა, რომ არსებითად არ ეთანხმება დომინგოს კომპარტიის დელეგატის გამოსვლას, რომელმაც ნება მისცა თავის თავს დამამცირებელი ტონით ელაპარაკა ლათინური ამერიკის ბევრ კომუნისტურ პარტიაზე.

დასასრულ ორატორმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა მომძე პარტიათა კოლექტიური მეცადინეობით მომზადებული ძირითადი დოკუმენტის უაღრესად მნიშვნელოვან როლს.

პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. ოხედამ აღნიშნა, რომ მიღონინობი კომუნისტები ამ ბრძოლაში მუშათა კლასისა და სახალხო მოძრაობის პროფკავშირულ, პოლიტიკურ და სამხედრო ორგანიზაციებს. მუშათა კლასის ჰეგემონია, თქვა მან, მიზი ან ლოზუნგი როდინა. ეს არის საზოგადოებრივ-ისტორიული სინამდვილე.

ბოლივიის კომუნისტები გმობენ მაოს ჯგუფის გამოძეველ შოვინისტურ და ავანტიურისტულ საქმიანობას, რომელიც სამხედრო პროვოკაციებსაც არ ერიდება. ჩვენს პარტიას, თქვა დელეგატმა, საჭიროდ მიაჩნია ამხილოს მაოიზმის ნამდვილი სახე და, ჩვენი აზრით, ასეთივე მოვალეობა აკისრია მთელ საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობას.

ბოლივიის კომუნისტური პარტიის დელეგატმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების დაცვას. ამასთან დაკავშირებით მან თქვა, რომ ბრძოლა ანტიკაბჭოურობის წინააღმდეგ პრინციპული საკითხია. შემდეგ მან აღნიშნა, რომ კუბის განმტკიცება, მისი წარმატებანი სოციალიზმის მშენებლობაში ჯულწრფელად ახარებს „ლათინური ამერიკის ყველა ხალხს.

ბოლივიის კომპარტიის დელეგატმა განაცხადა, რომ არსებითად არ ეთანხმება დომინგოს კომპარტიის დელეგატის გამოსვლას, რომელმაც ნება მისცა თავის თავს დამამცირებელი ტონით ელაპარაკა ლათინური ამერიკის ბევრ კომუნისტურ პარტიაზე.

დასასრულ ორატორმა ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვა მომძე პარტიათა კოლექტიური მეცადინეობით მომზადებული ძირითადი დოკუმენტის უაღრესად მნიშვნელოვან როლს.

პუერტო-რიკოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ფ. ოხედამ აღნიშნა, რომ მიღონინობი კომუნისტები ამ ბრძოლაში ეფიქრებიან ლენინურ ანალიზს ეროვნული ეროვნული ეროვნული

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის
პლენუმის 1969 წლის 13 ივნისის დადგენილება

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ

მოისმინა და განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მეჟავანაძის მოხსენება „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების მიმდინარეობისა და რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანების შესახებ", საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციებმა დიდი, ნაყოფიერი მუშაობა გაწიეს დიდი ბელადის იუბილეს მოსამზადებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების შესახებ" ფართოდ გამოეხმაურნენ საქართველოს კომუნისტები და ყველა მშრომელნი. პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების, შემოქმედებითი ორგანიზაციების, უმაღლესი სასწავლებლების კოლექტივებმა შეიმუშავეს ამ ისტორიული თარიღისათვის მზადების კონკრეტული გეგმები, დახახეს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი მიჯნები.

მრეწველობის, ტრანსპორტის საწარმოთა, მშენებლობების, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ბევრი კოლექტივის ინიციატივით ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება რევოლუციის დიდი ბელადის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, რითაც გამოიხატა მასების უსაზღვრო სიყვარული ლენინისადმი, მათი აქტივობა ლენინის ანდერძის შესრულებისათვის ბრძოლაში. ლენინურმა შრომითმა ვახტმა ახალი შემოქმედებითი ენერგია და აქტივობა შემატა სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მშრომელებს. მათ იკისრეს მაღალი სოციალისტური ვალდებულებანი, რომელთა უმრავლესობა წარმატებით სრულდება. სულ უფრო ფართო მასშტაბით ვითარდება მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის.

პლენუმი აღნიშნავს, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები წინასაიუბილეო პერიოდში ისწრაფვიან კიდევ უფრო გააძლიერონ შინაპარტიული ცხოვრება, კიდევ უფრო გაზარდონ პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობა, კომუნისტთა აქტივობა, მათი პასუხისმგებლობა დავალებული საქმისათვის, განუწყვეტლივ სრულყოფდნენ პარტიული მუშაობისა და ხელმძღვანელობის სტილსა და მეთოდებს. პარტიული ორგანიზაციები დიდ მუშაობას ეწევიან მასებთან კავშირის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის, სახელმწიფოს მართვაში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მართვაში მშრომელთა აქტიური ჩაბმისათვის.

პარტიული ორგანიზაციები ფართოდ იყენებენ წინასაიუბილეო პერიოდს, რათა ყოველმხრივ გააუმჯობესონ იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ამ მიზნით იყენებენ სხვადასხვა ფორმას: „ლენინური კითხვებს", ხელმძღვანელ მუშაკთა, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა, პროპაგანდისტთა ლექციებსა და მოხსენებებს, თეორიულ, მეცნიერულ-მეთოდურ კონფერენციებს, ტურისტულ ლაშქრობებს ლენინურ ადგილებში, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილ მოძრაგ გამოფენებს, სპეციალურ საგიგანტიო მატარებლებს, კინოფილმებს ლენინზე, კითხვა-პასუხის საღამოებსა და სხვ. პოლიტიკური განათლების სისტემაში, ლენინურ სახალხო სკოლებში, რომლებიც მიმდინარეწელს შეიქმნა, სწავლობენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და რევოლუციურ მოღვაწეობას. გაფართოდა მის ცალკეულ ნაწარმოებთა შემსწავლელი სემინარების თემატიკა. ხორციელდება ვ. ი. ლენინის ნაშრომების, აგრეთვე დიდი ბელადისა და მასწავლებლის შესახებ დაწერილი ლიტერატურის გამოცემა და ხელახლა გამოცემა.

რესპუბლიკის კომუნისტები და მშრომელები მხურვალედ ეხმაურებიან კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის მუშაობას, რომელიც მოასწავებს კომუნისტური და მუშათა პარტიების შეკავშირებასა და მოქმედების ერთიანობას მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოზიცია, რომელიც ჩამოყალიბებულია ჩვენი პარტიის დელეგაციის მეთაურის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლაში, შეეხებამება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თანამედროვე ამოცანებს. პარტიული ორგანიზაციები აყენებენ საზოგადოების ინტერესებს, ხელს უშლის კომუნისტური მშენებლობის ამოცანების მეტი წარმატებით გადაწყვეტას. რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ბევრი კოლექტივი ჯერ კიდევ საკმაოდ ვერ იყენებს სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის შინაგან რესურსებსა და რეზერვებს, მთლიანად ვერ ასრულებს ლენინის „უბილეს აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეკიდება პარტიული პროპაგანდის შინაარსს, მისი ეფექტიანობის ზრდას. მთელ რიგ შემთხვევებში თეორიის შესწავლას არ უკავშირებენ ცხოვრებას. დღემდე არ აღმოფხვრილა ფორმალიზმი ლექციურ პროპაგანდაში. სერიოზული ნაკლოვანებანია პრესის ორგანოების, რადიოსა და ტელევიზიის მუშაობაში. დიდმნიშვნელოვან საპრობლემო მასალებს იშვიათად ეხებიან რესპუბლიკის პერიოდული პრესის ფურცლებზე, რადიოსა და ტელევიზიის გადაცემებში.

ბოლომდე არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი პარტიულ, საბჭოთა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა მუშაობის სტილსა და მეთოდებში, კადრების შერჩევაში, განაწილებასა და აღზრდაში, ყველგან როდი იჩენენ სათანადო ზრუნვას მუშაკთა იდეური წრთობისათვის, დავალებულ საქმეზე მათი პასუხისმგებლობის გაზრდისათვის, მიღებულ გადაწყვეტილებათა, პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერებისა და მათი შესრულების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმს რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია კიდევ უფრო ფართოდ გაშალონ პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებისა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით განსახორციელებლად მშრომელთა მთელი ძალების მობილიზაციისათვის, იუბილესათვის მზადების მთელ ამ მუშაობაში განუხრელად იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 23 ივლისისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის 3 სექტემბრის დადგენილებებით „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისთვის მზადების შესახებ", ამასთან ფართოდ გამოიყენონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადების გამოცდილება.

მასებში პოლიტიკური მუშაობის ძირითად შინაარსს უნდა შეადგენდეს ის, რომ ყოველმხრივ გააშუქონ პარტიისა და მთელი სახ. ჯოთა ხალხის ბრძოლა ლენინის ანდერძის განხორციელებისათვის, მარქსიზმ-ლენინიზმის მნიშვნელობა რევოლუციური გარდაქმნებისათვის ვ. ი. ლენინის, როგორც დიდი მოაზროვნის, რევოლუციონერის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უფროსმდგომლის ისტორიული როლი, განამტკიცონ ლენინის თეორიული მემკვიდრეობის გამოყენების უპირველესი მნიშვნელობა მსოფლიო სოციალისტური სისტემის, საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

ღრმად განუმარტონ კომუნისტებსა და ყველა მშრომელთ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული ცხოვრების და საერთაშორისო მდგომარეობის, აგრეთვე პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პრაქტიკული საქმიანობის საკითხები. გააუმჯობესონ ხელმძღვანელობა მომხსენებლების, ლექტორების, პოლიტინფორმატორების, პროპაგანდისტებისა და აგიტატორების ჯგუფების საქმიანობისადმი, დღეგინდიდან იზრუნონ მათი შემადგენლობის განმტკიცებისათვის, სწავლების ორგანიზაციისა და ინსტრუქტირებისათვის, საჭირო საინფორმაციო მასალებით მომარაგებისათვის.

ლენინის იდეების პროპაგანდა მებრძოლი, შეტევითი ხასიათისა უნდა იყოს, დროულად ამხილებდეს ბურჟუაზიული პროპაგანდის მონაჯორებს, უნერგავდეს მშრომელებს კომუნისტურ რწმენას, საბჭოთა პატრიოტიზმსა და პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს, იდეურ სიმტკიცეს და უნარს — წინააღმდეგნენ ყოველგვარი ფორმის ბურჟუაზიულ გავლენას. პროპაგანდა უნდა გაიშალოს მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფის ინტერესებისა და მოთხოვნების, მათი საზოგადოებრივი აქტივობის შემდგომი ყოველნაირად ამაღლების საჭიროების გათვალისწინებით.

პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გაძლიერონ მუშაობა ყველა კომუნისტის მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის, იმისათვის, რომ მშრომელთა ფართო მასებმა ღრმად შეიხვნელონ რევოლუციური თეორია. ამ მიზნით, პოლიტიკური განათლების სისტემასთან ერთად, ფართოდ გამოიყენონ ისეთი ფორმები, როგორიც არის ლენინური სახალხო სკოლები, ხელმძღვანელ მუშაკთა პოლიტიკური მოხსენებები და ლექციები მშრომელთა წინაშე. ლენინური კითხვები, შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, რევოლუციური მოძრაობის ვეტერანებთან, სოციალისტური მშენებლობის აქტიურ მონაწილეებთან.

რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტმა რეგულარულად გამოაქვეყნონ მასალები აგიტატორების, პოლიტინფორმატორებისა და მომხსენებლების, ლექტორებისა და პროპაგანდისტების დასახმარებლად პოლიტიკური, ეკონომიური და საერთაშორისო ხასიათის ფართო წრის პრობლემებზე. ლენინური იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარულმა ინსტიტუტებმა და უმაღლესი სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა მთელი თავიანთი უურადღება უნდა დაუთმონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის აქტუალური პრობლემების შემდგომ გაღრმავებულ კვლევას, ისტორიულ-პარტიული მეცნიერების დარგში განზოგადებული შრომების შექმნას, პარტიული მშენებლობის საკვანძო საკითხების დამუშავებას, საქართველოში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის შესწავლას.

საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული უურადღება უნდა დაუთმონ კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მასალების განმარტებასა და შესწავლას, ამასთან ფართოდ გამოიყენონ ამ მიზნით ლექციები, მოხსენებები, ინფორმაციები, თეორიული კონფერენციები და სემინარები, აგრეთვე პრესა, რადიო და ტელევიზია.

მთელი იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა დაუკავშირონ სამეურნეო და კულტურული შენებლობის ამოცანების წარმატებით შესრულებას, რეს-პუბლიკის საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების, ადგილობრივ ორგანოთა მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკოსების, ეკონომისტების, ბუღალტრების, ფინანსისტების, ბანკირების, ბიბლიოთეკარების, ექიმ

საქართველოს მშრომელები ლენინის ანდერძის ერთგულნი არიან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

(დასასრული)

დიადი დღესასწაულის აღსანიშნავად. ეს საკითხი, კერძოდ, დასახულია უახლოეს ხანში განიხილოს აფხაზეთის ასსრ უმაღლესმა საბჭომ.

იდეოლოგიურ მუშაობაში, — პარტიული ორგანიზაციების საქმიანობაში, — თქვა შემდეგ ორატორმა, — მთავარია მშრომელთა აღზრდა ლენინური ანდერძის სულისკვეთებით, საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციები იყენებენ პოლიტიკური მუშაობის სხვადასხვა ფორმებს: ლექციებსა და მოხსენებებს, პოლიტინფორმაციასა და თვალსაჩინო აგიტაციას, თემატურ საღამოებს, თეორიულ კონფერენციებსა და დისპუტებს, საიუბილეო გამოფენებს, კონკურსებს, მხატვრული თვითმოქმედების დათვალიერებებს, ექსკურსიებს ლენინისეულ ადგილებში და სხვა ღონისძიებებს. სწავლების ყველაზე ქმედითი და საინტერესო ფორმა არის ლენინური კითხვები.

ოლქის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, სახალხო ინტელიგენცია, — თქვა საქართველოს კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. ჯ. დ. თედეევმა, — აღსავსენი არიან მისწრაფებით დიადი იუბილე აღნიშნონ შრომითი გმირობით პარტიის XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. ოლქის პარტიული ორგანიზაციები კომუნისტთა და უპარტიოთა ყურადღებას მიაპყრობენ გადაუწყვეტელ ამოცანებს, იბრძოლებენ ოჯახი დაპირებებისა და პატიდუნი ხმაურის წინააღმდეგ. ოლქის სამრეწველო საწარმოებმა შარშან და მიმდინარე წლის ხუთ თვეში გამოუშვეს 2.800 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია.

1969-1970 წლებში ჩვენს ოლქში კიდევ უფრო გაფართოვდება საწარმოები და აშენდება ახალი ობიექტები. ამოქმედდება ჭარხანა „ემალსადენის“ საამქრო, რეკონსტრუქტიურებულია ყვავილის ტყვიის მაღარო და სხვ. ორატორი შეეხო სოფლის მეურნეობის მშრომელთა წარმატებებს, რომლებიც მოიპოვეს რთული კლიმატური პირობების მიუხედავად. ამასთან მან აღნიშნა ნაკლოვანებანიც. მთელი რიგი საწარმოები მხედველობიდან უშვებენ პროდუქციის ხარისხს. სუსტია შრომის დისციპლინა ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მცირე მოსავალს იწევენ.

სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაობას, რომლებიც ხშირად აჭიანურებენ ობიექტების ჩაბარებას. ორატორმა აღნიშნა, რომ ამ ბოლო ხანს პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერეს მუშაობა ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდისათვის.

წინასწარი მონაცემებით, თქვა პარტიის მცხეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. გ. ჭ. კავთიაშვილმა, რაიონის მშრომელები უკვე მიმდინარე წელს შეასრულებენ ყურძნის, ხორცის, რძის, კვერცხის, მარცვლეულისა და სხვა პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის ხუთწლიან გეგმას, მომავალ წელს კი იმუშავებენ ახალი ხუთწლედის ანგარიშში. სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტების მიყიდვის გეგმების შესრულებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მშრომელებმა. მაგრამ რაიონში ჯერ კიდევ არის რამდენიმე კოლმეურნეობა, მათ შორის სოფელ გალავნისა და ქსოვრისის კოლმეურნეობანი, სადაც კიდევ სრულდება გეგმები. ისინი ამცირებენ მთელი რაიონის მაჩვენებლებს.

შემდეგ ორატორი შეეხო სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებს. სამწუხაროა, — თქვა მან, — რომ ჩვენში ჯერ კიდევ აღმოფხვრილი არ არის სახელმწიფო დოვლათის დატაცების ფაქტები. ამ ბოლო ხანს ზოგიერთმა ხელმძღვანელმა მუშაკმა დაარღვია სახელმწიფო დისციპლინა, ხელყო საბჭოთა კანონები. ამისათვის ისინი მოხსნილი არიან სამუშაოდან, ზოგიერთი კი სამართალშია მეცემული.

ამით პარტიულმა ორგანიზაციამ ერთხელ კიდევ გაუსვა ხაზი კომუნისტთა მაღალ პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის. არასოდეს არ უნდა დავიჩაგროთ ლენინის სიტყვები იმის შესახებ, რომ ყველა ჩვენი წარმატება და ნაკლოვანება დამოკიდებულია კადრების სწორ შერჩევაზე, მათდამი მაღალ მომთხოვნელობაზე.

იუბილეს აღსანიშნავად, — თქვა ორატორმა, რაიონის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რესპუბლიკის განათლებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მხარდაჭერით ფართოდ ფლიბდა ეკისრეს განმტკიცონ რაიონის სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზა, რათა რაიონის ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა უკვე ამჟამად ფრიად ფრაფალ სკოლა სოფლის მეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, სადაც მცირე მოსავალს იწევენ.

თელავის რაიონი რესპუბლიკის ყურძნის ერთ-ერთი ძირითადი მწარმოებელია, — თქვა პარტიის თელავის რაკომის პირველმა მდივანმა ამხ. ა. ლ. ვარდოშვილმა, — ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ რაიონის პარტიული ორგანიზაციები ძირითადად ზრუნავენ ყურძნის წარმოების გეგმების შესრულებისათვის. ყველა ვამაყობთ იმით, რომ შარშან სახელმწიფოს მივიყიდეთ თითქმის 30 ათასი ტონა ყურძენი. წელს ვიბრძვით, რომ მივიყიდოთ 34 ათასი ტონა მაღალხარისხოვანი ყურძენი ნაკლებად გეგმით გათვალისწინებული 33 ათასი ტონისა.

რაიონის მშრომელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მკაცრი და ხანგრძლივი ზამთრის მიუხედავად, მათ შეასრულეს ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაო. ახლა რაიონის ყველა სოფლიში

უკეთ გავუნიოთ პროპაგანდა ლენინურ იდეურ მემკვიდრეობას

ალენუმის მუშაობაში დიდი ადგილი დაიკავა ლენინის იდეური მემკვიდრეობის, მშრომელთა და განსაკუთრებით ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის პროპაგანდის საკითხებმა. აღინიშნა, რომ სახელოვანი იუბილესთვის მზადება იწვევს იდეური ცხოვრების ახალ აღმავლობას, ამ მზადებასთან ერთად კიდევ უფრო ფართოდ ჩაიდება პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა. ორატორებმა აღნიშნეს, რომ ახლა, როცა მეტისმეტად მწვავდება იდეოლოგიური ბრძოლა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის, ლენინური იდეების პროპაგანდას მებრძოლური, შეტევითი ხასიათი უნდა ჰქონდეს, უნდა ამხელდეს ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს, უნერგავდეს ჩვენს ხალხს საბჭოთა პატრიოტიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის გრძნობას, იდეურ სიმტკიცესა და კომუნისტურ მრწამსს. სერიოზული ამოცანაა კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის მასალების განმარტება და შესწავლა, თათბირისა, რომელიც ახალი ეტაპია იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების ერთობის შემდგომ შეკავშირებასა და განმტკიცებაში.

ლენინური იდეების პროპაგანდას მიუძღვნა თავისი გამოსვლა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის დირექტორმა ამხ. ვ. ნ. მერკვილაძემ.

ლენინიზმი დღეს, — თქვა მან, — მარტო მეცნიერული თეორია კი არ არის, არამედ ჩვენი ქვეყნის, საერთაშორისო კომუნისტური, მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მსოფლიო სოციალისტური სისტემის სოციალური სინამდვილეა. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კაცობრობის მესამედი ლენინურად აშენებს თავის ცხოვრებას. ეს არის ლენინისა და ლენინიზმის უკვდავება!

ახლა, როცა იმპერიალიზმი და მისი იდეოლოგიები, რევიზიონისტები და დოგმატიკოსები, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუნისტები ყველა საშუალებით ცდილობენ სახელი გაუტეხონ ლენინიზმს, ჩვენი მეცნიერების უპირველესი ამოცანაა ფართო და ღრმა, საზრიანი და მკაფიო პროპაგანდა გაუწიონ ლენინის უმდიდრეს მემკვიდრეობას, იბრძოლონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცოცხალი ძალა, ჩვენ ამ ამოცანებში ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში, პრინციპულად და მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მათს გადაწყვეტას.

ორატორმა თქვა, რომ ქართველ მკითხველს უკვე აქვს საშუალება დაიკვეხოს ლენინის ფილოსოფიური ნაშრომებით. ეს ბოლოსათვის გამოვა ვ. ი. ლენინის ცალკეული ნაწარმოებები. გამოსაცემად მზადდება ინსტიტუტის შრომების კრებული „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, რომელიც ამ თარიღს ეძღვნება. უახლოეს ხანში გამოიცემა ანოტირებული ბიბლიოგრაფია „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის შესახებ“, რომელიც მოწმობს პარტიის ბელადის ფართო ურთიერთობას ამიერკავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან. ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიის ისტორიის ინსტიტუტების საერთო მეცნიერებით გამოსაკვლევად მზადდება წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკთა მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“. იქმნება ნაშრომი „ქართველ რევოლუციონერთა მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“. ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა თემაზე „ვ. ი. ლენინი და საქართველო“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა და მისმა სამეცნიერო დაწესებულებებმა, თქვა თავის გამოსვლაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **გ. ა. მელიქიშვილმა**, — დასახეს ფართო და კონკრეტული პროგრამა საიუბილეო ღონისძიებებისა, რომლებიც ახლა წარმატებით სრულდება. გამოვიდა ზოგიერთი საიუბილეო გამოცემა, ბევრი ინსტიტუტში მოეწყო სამეცნიერო სესიები. ახალგაზრდა მეცნიერთა და ასპირანტთა პირველმა რესპუბლიკურმა კონფერენციამ, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად მოაწყო ჩვენმა ინსტიტუტმა კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან ერთად, ვვიჩვენა რესპუბლიკის ახალგაზრდა მეცნიერთა აღრმების მომზადების თაობაზე მსჯელობა, მათი ინტერესების მრავალფეროვნება და მზარდი მეცნიერული სიმწიფე.

უნდა აღინიშნოს ჩვენი მეცნიერების მთელი რიგი ნაშრომები, რომლებსაც გამომცემლობა „მეცნიერება“ ბეჭდავს. ესენია: „ვ. ი. ლენინი და ქართული ისტორიული მეცნიერება“, „ვ. ი. ლენინი ეროვნული საკითხის შესახებ“, „ბერკლესა და იუმის იდეალიზმის ლენინური კრიტიკა“, „ლენინი და ირანი“ და სხვ. 1970 წლის იანვარ-მარტში გაიმართება რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ექვსიანი განყოფილების საიუბილეო სესია. მოეწყობა აგრეთვე ლენინ დიდიანზე წაკითხული ვ. ი. ლენინის ყველა ძირითადი ნაშრომი. იუბილესთვის გამოვა ვ. ი. ლენინის ცალკეული ნაწარმოებები. გამოსაცემად მზადდება ინსტიტუტის შრომების კრებული „საქართველოს კომპარტიის ისტორიის საკითხები“, რომელიც ამ თარიღს ეძღვნება. ეროვნულ ხანში გამოიცემა ანოტირებული ბიბლიოგრაფია „ვ. ი. ლენინი ამიერკავკასიის შესახებ“, რომელიც მოწმობს პარტიის ბელადის ფართო ურთიერთობას ამიერკავკასიასთან და, კერძოდ, საქართველოსთან. ამიერკავკასიის რესპუბლიკების პარტიის ისტორიის ინსტიტუტების საერთო მეცნიერებით გამოსაკვლევად მზადდება წიგნი „ამიერკავკასიის ბოლშევიკთა მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“. „ქართველ რევოლუციონერთა მოგონებანი ვ. ი. ლენინზე“. ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა თემაზე „ვ. ი. ლენინი და საქართველო“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიუროს ბოლოდროინდელ სხდომაზე, — ბრძანა ამ ბოლოს ამ ბოლოს ამ ბოლოს